საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთქმელ-შემსრულებლები

მთქმელ-შემსრულებლები, ქალაქური ფოლკლორული ნაწარმოებების ავტორ-შემსრულებლები. თბილისელი მ.-შ. ძირითადად წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნების წრეს ეკუთვნოდნენ და მათ სოც.-ესთეტ. შეხედულებებს გამოხატავდნენ. ქართველებთან ერთად მ.-შ. იყვნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მოქალაქენი, რ-თა რეპერტუარის მთავარი წყარო იყო თბილისელ აშუღთა ქართული ლექს-სიმღერები. ისინი ასრულებდნენ დალოცვა-სადღეგრძელოებს, იუმორისტულ ლექს-სიმღერებს, ანეკდოტებსა და სხვ. მათი თხრობისა და შესრულების მანერის გარკვეულ თავისებურებას საფუძვლად ედო ვაჭარ-ხელოსანთა წრეში შემუშავებული მეტყველებისა და ქცევის ფორმები. პარალელურად თბილისში ვითარდებოდა მ.-შ-ის მრავალსაუკუნოვანი ქართ. ზეპირსიტყვიერების ტრადიცია, რ-საც მტკიცედ იცავდა ქართ. სოფლებიდან ჩამოსული და ქალაქში დამკვიდრებული მოსახლეობა. მათზე გავლენას ახდენდნენ მესტვირეები, რ-ებიც სხვადასხვა თბილისური დღესასწაულისა და თავყრილობის ხშირი სტუმრები იყვნენ.

ლიტ.: ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2009. შ ა ყ უ ლ ა შ ვ ი ლ ი გ., ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან, თბ., 1990;

ჯ. ბარდაველიძე